თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. ბათუმი

«08» სექტემბერი 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 02/294

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 31 მაისის №02/197 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ 2013 წლის 20 მარტის №01-18/83 წერილის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 31 მაისის №02/197 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს 2019 წლის 31 დეკემბრამდე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაეცეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. №20-ში მდებარე 2 546,55 კვმ ფართის შენობა-ნაგებობიდან 245,29 კვმ არასაცხოვრებელი ფართი, თანასწორად დანართისა, 1 006 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან მასზე წილობრივად მიმაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.22.31.004).“.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის იურიდიულმა გაწყოფილების უფროსს (რამაზ მამულაძე) თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და საჯარო

სამართლის იურიდიულ პირ - „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის 2011 წლის 8 ივნისს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების საფუძველზე შედგენილ ხელშეკრულებაზე თვითმმართველი ქალაქ ბათუმის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების აღრიცხვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს - მარინე დევაძეს.

4. დაევალოს ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებას (შორენა ხარაზი) 2011 წლის 31 მაისის №02/197 ბრძანებაზე შესაბამისი აღნიშვნის გაკეთება.

5. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს.

6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბთუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მერია.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი ჩავლეიშვილი**

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.22.46.001.02.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882013069309 - 20/02/2013 13:22:00	11/03/2013 12:08:47

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ბათუმი	სექტორი 22			
05	22	46	001	02/500

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:7814.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **05.02.46.004;**

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ლ.ასათიანი , N 37

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011234766 , თარიღი 19/05/2011 15:20:04
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/05/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N180 , დამოწმების თარიღი:16/05/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- მომართვა N01-10/1770 , დამოწმების თარიღი:18/05/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	საკუთრება	ფართი	4055.20 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011239184 თარიღი 23/05/2011 11:23:58	მოსარგებლე: სსიპ "ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი"; მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საგანი:4055.2 კვ.მ. ; ბრძანება, რეესტრის ნომერი N365, დამოწმების თარიღი12/10/2012, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2011	მიღება ჩაბარების აქტი, დამოწმების თარიღი15/10/2012,

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემისავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.